



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

აღრიონი

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე



სოხუმი ბევრად უფრო ადრე დაეცა. ამ დაცემას ყველანი ვამზადებდით. ადამიანთა ცოდვები წვეთწვეთობით გროვდება და ერს გრივად დასუსტებს. ჩვენივე ცოდვებმა განგვიარაღა, ღვთის წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა ხელ-ფეხი შეგვიკრა. ასე აღმოვჩნდით დაუძლეველნი. სასტიკი მტრის წინაშე. შემოსეული მტერი, სტიქია თუ სილატაკე მხოლოდ იარაღია ღვთის ხელში. მორწმუნე მიზეზი სხვაგან უნდა ეძებოს. თუ ნამდვილ მიზეზს ვერ ვიპოვით, შედეგს ვერაფერს მოუხერხებთ. ჩვენ ვერ შევაჩერებთ განსაცდელს, თუ არ შევაჩერებთ ჩვენს ცოდვებს. უამთაღმწერელი აღწერს ჯალალ-უდ-დინის მიერ დარბეული თბილისის საზარელ სურათს, მთელ

ქალაქში მიმოვანტულ დახრილ გვაძებს. ასწლოვანი მატინის მკითხველი ამაოდ დაუწყებს ძებნას პირ-სისხლიანი მტრის განმკითხველ სიტყვას. შემთხვევით ამაზე არ საუბრობს. სამაგიეროდ, საუბრობს ქართველთა ცოდვებზე, რაც წინ უძღოდა ამ ტრაგედიათ. არავის უფერება - არც ცლეს, არც თავადს, არც სასულიერო პირს, არც მეფეს, ამხელს ერის ცოდვებს, ამიშვლებს მის წყლულებს. მაგრამ ამას აკეთებს არა ქედმაღლობით, განკითხვის ვნებით, არამედ თავმდაბლობით, სულიერებით. დრამდ მორწმუნე ისტორიკოსისათვის უბედურების ჭეშმარიტი სათავე ერის ცოდვებია.

მამ, ჯალალ-უდ-დინი არაა დამნაშავე? განა ცოდვად არ ეთვლება ის, რაც ქართველთა წინააღმდეგ ჩადინა? რა თქმა უნდა, ისიც და საქართველოს ამჟამინდელი მტერიც ცოდავს და ცოდავს მძიმედ - მათ თავიანთი წილი დანაშაული აქვთ. მაგრამ რატომ დაუშვა უფალმა მტრის მძლავრობა ჩვენზე? - აი, შეკითხვა, რომელიც მორწმუნე კაცმა თავის თავს უნდა დაუსვას.

ავხაზეთის ტკივილს სხვა ასპექტებიც აქვს - საზარებაში მაცხოვარი ებრაელებს სილოამის გოდოლის დანგრევას და 18 კაცის დაღუპვის ამბავს ახსენებს და მიმართავს მათ - „იქნებ გვონათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომლებსაც დაეცა სილოამის გოდოლი და გასრისა ისინი, უფრო მეტად ბრალეულები იყვნენ, ვიდრე იერუსალიმის მკვიდნი?“ - ეს კითხვა ყველა ჩვენგანისკენ არის მიმართული. უფალი თავად პასუხობს მას: „არა, გუუნებთ თქვენ; მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავეთ დაიღუპებით“.

მაგრამ გვწამს, რომ ჩვენ ვინანებთ, წყალობას მოვიზიდავთ უფლისგან და საქართველოს მთლიანობა აღდგება. ასეთია ნება ღვთისა, - განაცხადა ერთხელ პატრიარქმა, ამასვე წინასწარმეტყველებდა გაბრიელ ბერი და ჩვენც გვწამს, რომ ეს მართლაც ასე იქნება. ღუკანთხი **ჯურაბ ტყეშელაშვილი** ურნალი „კარიბჭე“, 19 (158), 2010 წ.

ბახმაროს „სიღნაღიზაცია“ ელოდება

ბახმაროს განვითარების გეგმა არახალია, ათეული წლების მანძილზე არაერთი დაპირება გაისმოდა. როგორც ბოლო პერიოდში გაუღვრდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა ბახმაროში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დააინტერესა. ამ თემაზე მთავრობის სხდომაზე გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილიც იყო მიწვეული.



როგორც გავეთ, უახლოეს დღეებში ბახმაროში რამაზ ნიკოლაიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია, ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე მათა სიდაშვილი, გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილიც იყო მიწვეული. რა ფორმით მოხდება ბახმაროს „სიღნაღიზაცია“, როგორ იქნება დაცული აქ კანონიერი ვზით აგებული ახალი თუ ძველი სახლების მეპატრონეების ინტერესები, ეს ალბათ ამ საინტერესო შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

საპრემიუმო თავეჯლომარე საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა მარი კოპოიძე



იშნული საკითხის ირგვლივ რამდენიმე კითხვაც დაუსვეს. **ალეკო მამეშვილი:** ჩვენს მიერ სტაბილურად ხდება ბავშვის მონიტორინგი. განსაკუთრებულად დაგვიინტერესს რამდენიმე საკითხი. ეს საკითხებია კვება, საორგანიზაციო საკითხები და ინფრასტრუქტურა. პრობლემა ისაა რომ ჩასატარებელი კაპიტალური სარემონტო სამუშაოები განსაკუთრებით ქალაქის ბაღებში.

მაკა ჭყონია: ჩვენმა ცენტრმა განახორციელა საინსპექციო კონტროლი. კერძოდ ჩვენ გავითვალისწინეთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია, შემოვიღეთ მშობლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები, სადაც გაწერილი იქნება ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, ეს დაარეგულირებს ჩვენს და მშობლების ურთიერთობას. რაც შეეხება ჩვენს სტუმრობას ბაღებში, ვფიქრობ, რომ ნორმალური სიტუაცია დაგვხვდა. ბავშვი მარაგდება ხარისხიანი საკვებით პროდუქტებით. ბავშვების რაოდენობაც არ არის გადაჭარბებული.

ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე, ალექო მამეშვილი სოფელ ოზურგეთისა და გურიანთის საბავშვო ბაღებს ა.ი.პ. სკოლაშვილი სადამრეგულირებლო საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელთან, მაკა ჭყონიასთან ერთად ესტუმრა. მათი თქმით, სტუმრობის მიზანი ბაღებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლა და მონიტორინგია. სტუმრები ბაღებთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხით დაინტერესდნენ, განსაკუთრებული ყურადღება კვებაზე გამახვილდა. შეხვედრის მხარეულებს და აღ-

საზოგადოებრივი დარბაზი აქტიური იყო

გაზეთი „ალიონი“



როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილმა აღნიშნა, დარბაზის სხდომა დაგვიანდა, რამაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ბევრი სათქმელი დაუგროვა დარბაზის წევრებს.

თავად საკრებულომ დარბაზს შესთავაზა გაცნობიერებული სოფლის განვითარების პროგრამების მიმდინარეობას, აიპების ფინანსური შემოწმების შედეგებს, სოფლის მეურნეობის სტრატეგიას და თავიანთი აზრი გამოთქმისათვის თვეში გასამართ „ალეგრობაზე“ - გიორგი სალუქაძის სახელობის დიდი ფესტივალის გარშემო.

ალექო მამეშვილმა დარბაზის წევრებს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ძირითადი სამუშაოები. აღნიშნა ქ. ოზურგეთში 10 ქუჩაზე დაგებული ახალი ასფალტის საფარი, დეპო-ვაკუუმის გზის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლების გადახურვის საშუალებები და ა.შ. ალექო მამეშვილმა აღნიშნა ადგილობრივი კომპანიების პასუხისმგებელი ტენდერებში,

რაც მათი მწირი ფინანსებით უნდა აიხსნას. ქ. ოზურგეთის ცენტრში მოხდება ფანტანების რეაბილიტაცია, რაზედაც 225 ათასი ლარი დაინარჩუნდა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას, ალექო მამეშვილის თქმით, ის ძალზე მნიშვნელოვანია და ამ თემაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს.

დარბაზის სხდომაზე იმსჯელეს ოქტომბრის თვეში გასამართ დიდ ღონისძიებაზე, გურულების ტრადიციული „ალეგრობის“ აღდგენაზე და გიორგი სალუქაძის სახელობის ფესტივალზე. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ ფესტივალს ტურიზმის განვითარებისათვის.

დარბაზის სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმის დირექტორმა ისაუბრა იმ უპატენტებულობის შესახებ რასაც, სამწუხაროდ, ზოგი მოქალაქე იჩენს მუზეუმის გასწვრივ განლაგებული დიდი სამაგლო ომის გმირების ძეგლების მიმართ. გოგა ტრაპაიძის აზრით, ეს მნიშვნელოვანი თემა და მოვარებას საჭიროებს.

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარმა ექიმმა არჩილ მყავამ მოქალაქეთა იმ ნაწილის აზრი გაანვიხილა, რაც გამოიხატება ქ. ოზურგეთში, ექლის უბანში „ბლეკ სი გრუპ“-ის მიერ გახსნილი ასფალტის ქარხნის და ქვის სამტყრევი სამქროს მუშაობას შეეხება. ქვის სამტყრევი დანადგარი ძირითადად ღამის საათებში მუშაობს და ძილის საშუალებას არ აძლევს არა მარტო მიმდებარე, არამედ ქალაქის სხვა უბნების მოსახლეობასაც. არჩილ მყავამ დააყენა საკითხი, ქვის სამტყრევი დანადგარი ღამის 12 საათიდან დილიდ 6 საათამდე არ მუშაობდეს.

ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის თანამშრომლებს გათავისუფლებაზე განცხადებები დააწერიეს

როგორც გაზეთ „ალიონისათვის“ გახდა ცნობილი, ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ყველა თანამშრომელს განცხადება დააწერიეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. როგორც ამბობენ ეს ფორმალური მხარეა, რათა ეს სამსახური მშ. „მედალას“ უნდა შეერწყას. ახალ სამსახურში მათ სათანადო „ტესტირების“ შემდეგ მიიღებენ.



ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში ამ თემაზე თავს იკავებენ კომენტარისგან და ამბობენ, რომ მათთვის ჯერ-ჯერობით ბევრი რამ გაურკვეველია. ზოგი მომავალს უმუშევართა დიდ არმიას შეერთებაში ხედავს. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას მომავალი წლიდან ფასიანი გახდება თუ არა სასწრაფო-სამედიცინო მომსახურება.

კახა კუკავა ჩაის ბაზრის გაველურებული კლანტაციიდან უტეხს რუსულ ბაზარს

ნუმზარ ასათიანი



მოძველ წელს საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. არჩევნების წინ არაერთი ახალი პარტიის შექმნა მოსალოდნელი. გასულ კვირას გურიას საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ოპოზიციონერი ლიდერი კახა კუკავა სტუმრობდა. იგი ამჟამად „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერია. კუკავამ საზოგადოება ჟურნალისტები ოზურგეთი-ბათუმის ტრასის სიახლოვეს, გავლურბულ ჩაის პლანტაციებში მიიწვია და რუსეთის ბაზარზე ჩაის, ციტრუსის, ხილის და სხვა პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესახებ თავისი პარტიის გეგმები, უფრო სწორედ წინაარჩევნო მესიჯი გააცნო.

შუაგულ პლანტაციებში მოწყობილი სცენა რატომღაც ბოლო პერიოდში ტელევიზიების ეკრანზე წარმოჩენილ ნაცნობ სცენებს ჰგავდა.

კახა კუკავას ჩაის პრობლემებზე თავისი მოსაზრება გააცნო ამ დარგის კარგმა სპეციალიტმა, ყოფილი „მარტინ ბაუერის“ მენეჯერმა ემენი სალუქვაძემ. მან ოპოზიციონერ ლიდერს ჩაის დარგის აღდგენის მნიშვნელობა დაუსაბუთა, ისაუბრა უხარისხო აზერბაიჯანული და სხვა ჩაით გაჯერებული ქართულ ბაზარზე და აღნიშნა, რომ ქართულმა ჩაიმ ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი სივრცე მინც უნდა დაიბრუნოს.

კახა კუკავამ ციფრბრები მანქნებლები მოიყვანა და აღნიშნა, რომ „თუ ხელისუფლება ხელს არ შეგვიშლის, „თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით ქართული პროდუქცია 2001 წლის ბოლომდე რუსულ ბაზარს დაუბრუნდება, არც საშუალება მოგვცემს დავასაქმოთ 443 ათასი ოჯახი

და ფინანსურად უზრუნველვყოთ 1 660 000 ადამიანი.

კახა კუკავამ შეხვედრაზე რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის ალექსანდრე ებრაღიძის სახელი გააჟღერა, რომელსაც, მისი თქმით, ხშირად ავინებენ, მაგრამ მან დიდი წვლილი შეიტანა რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანის წინაპირობის მომზადებაში.

კუკავამ აღნიშნა, რომ კომპანია „ბორჯომ-მა“ უკვე შეიტანა საჭირო დოკუმენტები რუსეთის შესაბამის უწყებაში, ასევე დოკუმენტებს ამზადებენ ლენინის კომპანიები. ნოემბრის ბოლოს კი საბოლოოდ დასრულდება ყველა იმ იურიდიული საკითხის მოგვარება, რაც უკავშირდება ქართული ჩაის, ციტრუსის, ხილის დაბრუნებას რუსულ ბაზარზე.

კახა კუკავამ იასუბრა, თუ როგორ დაირღვა ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. მიმწოდებელი სოფელი დღეს მხოლოდ მომხმარებელია და და დღეს ქალაქიდან ან თურქეთიდან ემხმარებიან სოფელში ჩარჩენილ ბებებს, ბაბუას და სხვა ახლობლებს. ეს არის ქართველი ერის ტრადიცია, ჩაის, ციტრუსის, ვაზის ქვეყანას პოლიციისა და სასტუმროების ქვეყანა გვიჩვენებია. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სოფელს დღეს ჰყავს რწმუნებული, პოლიციელი, მანდატურიც, მაგრამ არ ჰყავს აგრონომი და ექიმი.

კუკავამ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ჩაის რეაბილიტაციაზე არც სახელმწიფო იწუხებს თავს და არც ინვესტორი. ამ მიზნით, სახელმწიფოსაგან კაპიტი არ იხარჯება. ელუარდ შევარდნაძის დროს ყოველწლიურად სამი მილიონი ლარი მინც იყო გამოყოფილი, დღეს სამი მილიონი ერთი მომღერლის ჩამოყვანა და კონცერტი უჯდებათ, ისეთი მომღერლების, რომლებიც უკვე 15 წელია თავიანთ ქვეყანაში არ არიან მოდამი. რაღა დროს სტინგის კონცერტი — აღნიშნა მან.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნატანებელმა ქალბატონმა ციური შონეძემ ამერიკული თეთრი პეპელასაგან მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალზე გამოთქვა თავისი გულისტკივილი, ხოლო ასკანელმა მანანა შევარდნაძემ — ახალგაზრდებისაგან დაკლილ სოფელზე.

შეხვედრის მონაწილეთა ნაწილს „მრეწველთა პარტიის“ ოზურგეთის ორგანიზაციის ყოფილი წევრები შეადგენდნენ. „თავისუფალი საქართველოს“ ოზურგეთის ინიციატივით ვკუფუს კახა კუკავამდე ხელმძღვანელობს.

ქალთა კლუბში მომავალი შესვენების თემატიკაზე ისაუბრეს

ნიკოლოზი



ფირზე ალბეტილი ბურია

მარი კოპოვი

გურიის სამთო და საზღვაო კურორტები ფოტოფირზე პროფესიონალმა და მოყვარულმა ფოტოგრაფებმა ასახეს. ათი ფოტოხელოვანი სამი დღის განმავლობაში ცდილობდა საინტერესო კადრების დაფიქსირებას. საბოლოოდ კი მათი ნამუშევრებიდან 80-მდე ფოტო შეირჩა და ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გამოიფინა. ფოტოების გადაღება და გამოფენის მოწყობა მუნიციპალიტეტის საგანგებო პროგრამით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ფოტო ტურს „ბრიზი მთაში“ ერქვა. როგორც მისი ავტორი და ორგანიზატორი, ლალი ბერძენიშვილი ამბობს, პროექტის მიზანი გურიის კურორტების პოპულარიზაციაა. ამას გამოფენის გახსნის დღეს გურიის გუბერნატორი, ვალერი ჩიტაიშვილიც



დაეთანხმა „ვფიქრობ კარგი იქნება თუ არა მარტო ზაფხულში, არამედ წელიწადის სხვადასხვა დროს ავსახავთ გურიას ფოტოფირზე“ — თქვა ჩიტაიშვილმა.

„საჯარიმო ქვეყანა“ და „ახალი დროის გმირები“

ნიკოლოზი

გასული კვირის ხუთშაბათს, გურიის „თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერმა თემურ სალუქვაძემ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს თავდაპირველად პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი ვოჩა ჯაში გააცნო, როგორც საგადასახადო სისტემის საკითხების მცოდნე და მათი კონსულტანტი, შემდეგ კი ამ სისტემის მუშაობის შესახებ განცხადებით გამოვიდა და ჩვენს ქვეყანას „საჯარიმო ქვეყანა“, ხოლო საგადასახადო ინსპექტორებს „ახალი დროის გმირები“ უწოდა.

— ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატიები“ მოვუფოღებთ ხელისუფლებას, თავი დაანებოს, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში ვყოფი მოსახლეობის დაჯარიმების ხარჯზე ბიუჯეტის შემოსავლს და შფხვითოს ამრო საგადასახადო ინსპექტორების თარი ჩვენს ქვეყანაში. მისი თქმით, გურიაში კერძო საგადასახადო ინსპექტორთა ქმედებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რადგან, მათ მიერ, რამდენიმე მწარმე ისე დაჯარიმდა, რომ საკონტროლო შესყიდვას, ან მომხმარებელთან ნადი ფულით ანგარიშსწორებასაც კი არ ჰქონია ადგილი. მოსახლეობას ვამცნობთ, რომ ხელი-



სუფლებამ „საჯარიმო ქვეყანას“ „ახალი დროის გმირები“ მოუვლინა, რომელთაც ძალიან მარტივად და, ფაქტურად დაუსაბუთებლად, შეუძლიათ საჯარიმო სანქციების დაკისრება ნებისმიერი პირისათვის, ყოველივე ამის შესაძლებლობა კი მათ, ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკამ მისცა. ადრინდელი კანონმდებლობისგან განსხვავებით, გამარტივებული პროცედურების გამო, კერძო ინსპექტორის მოქმედების ძირითად სფეროს საკონტროლო-სალარო აპარატის სარგებლობის წესების კონტროლი წარმოადგენს. ამ პროცესებით კი ზარალდება წვრილი და საშუალო ბიზნესი, რომელთა არერთმა წარმომადგენელმა მოგვმართა თემურ სალუქვაძემ აღნიშნა ისიც, რომ ამ ეტაპისთვის, აღნიშნული საკითხის გამო, მათი პოლიტიკური გაერთიანება მოსახლეობას კონსულტაციებსა და უფასო იურიდიულ დახმარებას ჰპირდება.

„აბრარული ქვეყანა ვიყავით და სოფელი მოკლეს“

ნიკოლოზი



— „ჩვენი შეხვედრები სოფლებში გრძელდება. ჩვენ ადამიანებს არ ვზღუდავთ პარტიული ნიშნით. არა ვართ იმხელა ერი, კასტებად დაყოფთ საზოგადოება. ჩვენს გვერდით შეიძლება დადგეს ადამიანები, მიუხედავად პარტიისა, ასაკისა და პროფესიისა. ასეთები კი მრავლად არიან, რომელთაც, თავიანთი გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით, ბევრი კარგი საქმის კეთება შეუძლიათ. მათი შრომითი საქმიანობა კი მხოლოდ საკარმიდამო ნაკებით შემოიფარგლება.“ — იმავე დღეს გამართულ მეორე პრესკონფერენციაზე განაცხადა გურიის „თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერმა და სოფ. ორმეთის მკვიდრი ოტია ხომერიკი წარადგინა. აღნიშნა, რომ ისინი ეტაპობრივად ყველა სოფლის წარმომადგენელს წარადგენენ, რომლებიც თავად ისაუბრებენ თავიანთ სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ.

ოტია ხომერიკმა თავდაპირველად მისი აღნიშნულ პარტიაში მისვლის მიზეზად „თავისუფალი დემოკრატიების“ მიერ მისთვის მკაფიოდ და მისაღებად ჩამოყალიბებული სოფლის პროგრამა დაასახელა. შემდეგ კი სოფლის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. — „აგრარული ქვეყანა ვიყავით და სოფელი მოკლეს. ახლა უცხოელი ბურების ხანით ახალ ბატონს გვიმზადებს ხელისუფლება. რაც შეეხება ამერიკულ სიმინდს, ის არ დავეითესია, რადგან მას არ ვენდობით. კარგი მოვლის შემთხვევაში 7-8 ტონა ადგილობრივ, გამოცდილ სიმინდს იწვევდა გლეხი. გაათავისუფლონ ბიზნესმენები შეწერებისგან და საშუალო ადგილებიც გაიზრდება და თხილის ფასიც აიწევს. რატომ უნდა დეზულობდეს თურქი 1 კგ. თხილში ჩვენზე მეტს.“

გამომსვლელმა ხალხის დამინებებზე, სოფლის ამორტიზებულ შდა გზებზე, საერთო მრიცხველებზე, თხილის ფასზე, ძვირადღირებულ სასუქსა და სოფლის სხვა პრობლემებზე ისაუბრა. — „მარტო პურის ჭამა არ წყვეტს ყველაფერს. ღირსების შელახვა და სოფლის აბუნად ავდება ცუდი. ნუ გამართავენ ერთ კონცერტს ბათუმში და ბევრი კარგი საქმის გაკეთებას ეყოფა ის ფული.“ — აღნიშნა მან.

